

№ 32
18.09.2019წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ (ბრძანება Nი-312) 2017 წლის 21 ივნისს, შპს „ეკო ენერჯიაზე“ (კასპის მუნიციპალიტეტი, სადგური მეტეხის მიმდებარე ტერიტორია) რეზინო-ტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის(გადამუშავება) საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N37, 20.06.2017.

2019 წლის 12 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება N2-523-ით შპს „ეკო ენერჯის“ რეზინო-ტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის(გადამუშავება) საწარმოს მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.(დანართი N1)

გაცნობებთ, რომ საწარმო ფუნქციონირებს 2017 წლიდან. ამ ეტაპზე იგეგმება საწარმოში საბურავების დასჭრელი დანადგარის დამატება. დანადგარის დამატებით არ მოხდება საწარმოს ტექნოლოგიური სქემის და წარმადობის გაზრდა. რეზინო-ტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების დაჭრის მექანიკური დანადგარით, საწარმოს ექნება შესაძლებლობა მიიღოს ყველა ზომის რეზინო-ტექნიკური ნაწარმი(საბურავი) გადასამუშავებლად და მოახდინოს დანადგარის ფუნქციონირების ოპტიმიზაცია. მექანიკურ საჭრელი დანადგარში მოხდება რეზინო-ტექნიკური ნედლეულის დაჭრა, რაც აგრეგატში მის კომპაქტურად განთავსებას ხელს შეუწყობს და საბურავში არსებული მეტალის მოცილება, რაც შეამცირებს ჩასატვირთი ნედლეულის წონას და მოცულობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა(წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, 12-ე ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი N2 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები“;

პატივისცემით,
ოთარ ჭეიშვილი

შპს „ეკო ენერჯის“ დირექტორი

